ხუთშაბათი, 9 დეკემბერი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და რვე-მე 1904 ხუთშაბათი, 9 დეკემბერი, 1904 წ.

**ბაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | „ | 9 „ 50 „ |
| 10 | „ | 8 „ 75 „ |
| 9 | „ | 8 „ — „ |
| 8 | „ | 7 „ 25 „ |
| 7 | „ | 6 „ 50 „ |
| 6 | „ | 6 „ — „ |
| 5 | „ | 5 „ 50 „ |
| 4 | „ | 4 „ 75 „ |
| 3 | „ | 3 „ 50 „ |
| 2 | „ | 2 „ 75 „ |
| 1 | „ | 1 „ 50 „ |

# ივერია

№ 281 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 281

**ფოსტის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის გზა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თებათვის 1-ს— 5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს— 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს— 3 მ. თებათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქართველნი მეცრნალნი:**

**ბედევანიშვილი მიხეილ**,—უორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამას 6—7 საათამდე.

**გაძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მიდოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ**,—კოზუბეის ქუჩა, № 19.

**ვაფაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე**,—ფორსიმეიდოვის და პარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღების ავადმყოფებს დღითი 9—11 და სადამოთი 6—8-დე.

**ვ. ს. მუსხელაშვილი**—ვირაბნის და ლადის მთავარ ქუჩების კუთხე, სახლი საკანონმდებლოსა, № 11. მიიღების თვალთა ავადმყოფებს: დღითი 12—2 ს., სადამოთი 6—7 ს., გარეთ სამშაბათისა.

**ალექსი-მეხსიშვილი**, სარდიონ სარდიონის-ძე. იღების სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებთან დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღე

რალი კეროპატკინი იაპონიიდგან დაბრუნდა, ყველას აფრთხილებდა, რომ წყნარ ოკეანეს კუნძულებზედ მცხოვრებნი, ამომავალ მზის შვილნი რუსების მტრები არიან, და მერე როგორი მტრები! მამაცნი, მეფდარნი და ამასთან რუსებზეზეკაცილებით უფრო განათლებულნიო. დიდე, ჩვენ დრო ეგზავენს (ეუდათ იქერს და ყველამ კარგად იცის, რომ დროა ის სახელმძღვანელოები გამოუცვალონო, რომლებითაც იგი მომზადდა. ჩვენ, რუსებს, იაპონიის ჯარის კაცი კი არ გვჯობნს, ჩვენ იმის მუშტი კი არა გვძლევს, არამედ მისი ჩინებული განათლება და ის თანასწორობა და პირადი უფლება, როგორიც ყოველ იაპონელს აქვს მინიჭებული. ყველაზედ ეუფდი ის არის, რომ ეხლანდელი ომი უკანასკნელი ომი არ იქნებაა: იაპონია ეხლი რომ დამარცხდეს, სულ ერთია. მომავალში იგი შორეულ აღმოსავლეთს მაინც თავს არ დაანებებს. ჩვენ, რუსები ეხლანდელ ომის შემდეგ კიდეგ სხვა ომისთვის უნდა მოვემზადოთ, რადგან იაპონია ჩვეულებრივის მხნეობით, ენერგიითა და ჭკუით კიდეგ დაამზადებს ახალ ჯარს, ახალ ფლოტს, ახალ ფულსა და სწორედ ისეთ დროს დაგვეცემა თავზედ, როცა ჩვენ ისეგ მოუმზადებელნი ვიქნებით და ახალ ომს აღარ მოველოდებით (რ. ს.).

---

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ

*** **ქალაქის საბჭოს კრება.** სამშაბათს, 7 დეკემბერს, კრება ჰქონდა ქალაქის საბჭოს. მთელი სალამო საბჭომ მოანდომა მხოლოდ ხარჯთა-აღრიცხვის განხილვას. დიდი ხანი მოანდომეს ხმოსნებმა იმის გადაწყვეტაზე—მუქთად გაუკეთოთო დეზინფექცია სახადიან ავადმყოფთა სადგურებს, თუ ფული ვიხდეთ ინფიცირებისა. აღმოჩნდა, რომ მუქთი დეზინფექცია საბჭოს დაუდგენია ჯერ შარშანვე და გამგეობას მთელი წელიწადი მუქთადვე უწარმოებია ეს საქმე. მაგრამ მაინც ყოველი ხმოსანი იქეუბოდა, რომ უთუოდ მუქთად ფუფ მიაწოდოს ქალაქმა დახმარება მცხოვრებსაო. ბოლოს, როგორც იყო, დაშოშმინდნენ ხმოსნები და კვლავ დაადგინეს ეს ერთხელ დადგენილი მუქთა დეზინფექცია, ამ ენაწყალიანობის ბრალი იყო, რომ საღამო მოუნდა მხოლოდ ხარჯთა-აღრიცხვის შემოსავლის გათავებას. მიღებულ იქმნა მილიონ-ნახევარი მანეთი შემოსავალი. გასავალის განხილვას შეუდგებიან ხუთშაბათის კრებაზედ. აბა, იქ აეხსნებათ ხმოსნებს ენა და იმუსაიფენენ ყოველ მუხლის თაობაზედ გაუთავებლივ. მერე ათასზედ მეტი მუხლია ხარჯებისა.

*** **ფიცის მიღება.** 7 დეკემბერს, ქალაქის მოურავის თანამდებობაზე ახლად დამტკიცებულმა ქრისტეფორე ვერმიშევმა მოურავის მოადგილის თავ. ვ. ნ ჩერქეზიშვილისა, გამგეობის წევრთა, ზოგიერთი ხმოსნებისა და თვითმმართველობის თითქმის ყველა მოსამსახურეთა თანადასწრებით ფიცი მიიღო. ფიცის მიღების შემდეგ ბ-ნ ვერმიშევს მოკლე სიტყვით მიმართეს თავ. ჩერქეზიშვილმა და ქალაქის მდივანმა ს. ჭელაშვილმა. ბ-ნმა ვერმიშევმა ყველას ალუთქვა თავგამოდებული და შეთანხმებული მუშაობა.

*** **ფოთის ქალაქის თავის მოადგილეს არჩევა.** „ცნ. ფურ.“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ 7 დეკემბერს ქალაქის თავის მოადგილედ ერთხმად არჩეულ იქმნა იაკობ ფანტხავა.

*** **უმაღლესი ჯილდოს მიღება.** გაზ. „კავკ.“ დეპეშით ატყობინებენ, რომ ტფილისის საგუბერნოთა ექიმს ბ-ნ ტ. ს. ქიქოძეს უმაღლესად ებოძა წმ. ანნას ორდენი მეოთხე ხარისხისა.

*** **ტიფლისიდგ შეკვლის აკრძალა.** «Нов. Обозр.»-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ, რომ პარიჟში განუზარხავთ ცოცხლივ ძეგლი ეკატერინეს მეწერალს გრაფ-ლევ ნიკოლოგოზის-ძეს ტოლსტოის.

*** **თავ. დ. ზ. მელიქიშვილის ბეტერბურგს გამგზავრება** როგორც ნოვ. ობოზ.-ე გადმოგვცემს, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ზ. მელიქეშვილი ამ დღეებში პეტერბურგს გაემგზავრება.

*** **ტერ-საკოვის მოკვლის კრება.** გაზ. «კავკაზი» გვატყობინებს, რომ უბნის ზედამხედველის ტერ-საკოვის მკვლელთაგანი რამდენიმე კაციაო. დაუპატიმრებიათ ერთი იმათგანი ტფილისის მცხოვრები აკოფოვანი, რომელსაც „ბრიდადენიდან“ სურმალინის მაზრის უფროსის ბოგუსლავსკის მოკვლის და დაპატიმრებული იყო იგდერის ბაუსადიში, სადაც ეგზილ-ეკ. ამ რამდენიმე დღის წინად ტერ-საკოვს აკოფოვანი დაუპატიმრებია და მხოლოდ ეხლახან გაუნთავისუფლებიათ ციხიდგან. აკოფოვანი, სხვა და სხვა მიზეზებით, თურმე ხშირად დადიოდა მე-4 საპოლიციო ნიწილში, თვალს ადევნებდა ტერ-საკოვს და ემეკრებოდა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ მკვლელობა გამოიწვია შურის ძიებამ და არა ეკვიანობამ.

*** **ᲒᲐᲬᲘᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.** 4 დეკემბერს, ხმ. გ. მ. თუმანიშვილის თავმჯდომარეობით, კრება მოჰხდა ვაკეს ქალაქთან შეერთების შესახებ; კრებამ დადგინა: მიეწდოს ქალაქის მიწის მზომელს, შეადგინოს გეგმა დაახლოვებით 100 დესეტინა ადგილისა, შეეკრიბოს მემამულენი და იმათის შეთანხმებით დაჰკოს უმნებად და მოეფდნეად მხოლოდ ახლად დაწეებულ სემინარიის შენობამდე. რაც შეეხება ვაკის იმ დანარჩენ ადგილების ქალაქთან შეერთებას, რომელიც მდებარეობს სემინარიის შენობის იქით, შემოერთებაზედ მხოლოდ მაშინ იქნებიენ მსჯელობასა, როცა მემამულენენი ამ ნაწილისა დასთანხმდებიან, სხვებთან ერთად თანასწორად გაიყოფ ყოველგვარი ხარჯი.

*** **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ახალი ქართული წიგნი: «ბრძოლა ჩვენებურ პრესასა და საზოგადოებაში შეპარული შეცდომა ნაკულოვანებებთან», წერილები ტ. ართმელაძისა, გამოცემა ეურნალ «მოგზაურისა», ფასი 35 კაპ.

*** **«სათვეო» კალენდარი.** რედაქციამ მიიღო 1905 წლის კალენდარი «სათვეო», შედგენილი და გამოცემული სოსიკო მერკვილაძის მიერ (წიგნის მაღაზია «ცოდნა»). კალენდარი ყოველის მხრით საკურადღებოა; მრავალი საინტერესო ცნობებია მოკცეული, დართული აქვს სურათი წიგნის მაღაზიის «ცოდნისა» და სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილისა, ეს კალენდარი, სხვა კალენდრებთან შედარებით, ძლიერ იაფია—ჰღირს 10 კაპეიკად.

---

## ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝ ᲜᲓᲝᲑᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘ.

(შემდეგი *)

გავიცნოთ ახლა რევიზორ ორდინის ვრცელი ანგარიში. ვიმეორებ, რომ ბ-ნ ორდინის საერეზიო ანგარიში არის სამდღენი ბრალდებითი ოქმი ქუთ. საურთიერთო ნდობის ბანკის საბჭო-გამგეობის მიმართ. ამოწერეთო აქ ამ ანგარიშის უმთავრესი ადგილები:

ბ-ნი ორდინი ბრძანებს: «1903 წელს ბ-ნ ფენენსკის მიერ მომხდარმა რევიზიამ გამოარკვია, რომ იმ დროს ბანკის მდგომარეობა არ ყოფილა სანუგეშო. ბანკის გამგეობა გადასცილებია წესდებას და სიფრთხილის პოლიტიკას, უკისრია არა კანონიერი შეღავათი მსესხებელთა მიმართ და ამ რიგად შეგროვებულა 12% ვადა გასულ ვექსილთა; ეგრეთვე გაუცია დიდი თანხები შავი-ქვის სესხთაო. ამ რევიზიის ერთის წლის შემდეგ, ე. ი. 12 იანვარს 1903 წელს, მომხდარა საგანგებო კრება, მაგრამ ბანკის გამგეობას არ უცვნია საქიროთ დაებეჭდა და დაერიგებინა წევრთათვის რევიზიის ანგარიში, რათა უფრო ვრცლად გაცნობოდეს. და ეს საგანი «ადგომ-დაჯდომის» საშუალებით იქმნა უარყოფილი, თუმცა ბევრს იქ დამსწრეს, რუსულის ენის უცოდინრობის გამო, არ ესმოდათ, რაში იყო საქმეო». „ამ ბოლო წელს ბანკის საქმეები შესამჩნევათ წასულა უკან და უკან, ოპერაციები შემცირებულა და, შეტანის ნაცვლად ფულის დამბინავებელთ მოუთხოვიათ უკანვე თავიანთი ფული. ამის გამო ბანკს დასჭირვებია ფული და მიუღია ღონე ფულის შესავსებათ ვექსილების საშუალებით, რის გამო ბანკის ვექილს აქვს წარმოებაში 79,398 მანეთის ვექსილები. ამას უნდა დაუმატოთ კიდეგ 93 ათასი მანეთის ვადა გასული და პროტესტ-ქმნილი ვექსილები. საერთოდ კი ვადა გასული და პროტესტ-ქმნილი ვექსილები შეადგენენ უზარმაზარ ჯამს, ე. ი. 172 ათას მანეთზედ მეტს, ანუ მთელის საევექსილო განაღდების 22%-სო.

*) იხ. «ივერია», № 280.

... «ვექსილთა ზარალის გამოსარკვეად მოვთხოვეთ ცნობა ბუხგალტერს და აღ მოჩნდა შემდეგი: 1902 და 1903 წლებში პროტესტ-ქმნილი ვექსილები ყოფილა 31,930 მანეთისა, აქედან ფულათ შემოსულა 3,500 მ. და განახლებულ ვექსილებათ 7,600 მ. ამ რიგათ ფულათ შემოსულა მხოლოდ 10%, ზარალში ჩაუწერიათ 56%. როგორც სჩანს, ბანკის საბჭო-გამგეობას ჩვეულებათ გადაჭქცევიათ მსესხებელთა მიმართ თავიზიანობა, რაც იხსნება ამა წლის დიდ ჯამიან პროტესტებით და ფულის მოთხოვნით. ნუ დაივიწყებთ, რომ, რადგან ვექსილთა უმეტესი ნაწილი ვადა გასულია, მაგრამ უპროტესტო, ამიტომ ბანკს ეკარგება ჯარიმა და სარგებელი (ვექსილის წესდების § 55 ძალით), რაიცა შეადგენს საკმაო ღიდ თანხასა».

შემდეგ ბ-ნი რევიზორი ეხება შავ-ქვაზედ გაკეთილ სესხს, რომელიც არის ყველაზედ უდიდესი დანაშაული ბანკის საბჭო გამგეობის მოქმედებაში. რევიზიას აღმოუჩენია შემდეგი: «შავ-ქვაზედ გაკეთილი სესხი თავის სარგებლით ადის 449,883 მანეთამდე. ეს ამოდენა ფული მიუღია მხოლოთ ექვს მრეწველს და, როგორც შემდეგ დავინახავთ, ბანკის საბჭო გამგეობის უახლოვეს მეგობრებსა და ნათესავებს. ამათში ყველაზედ ეფრო მეტი სესხი მიუღია თ. პ. წ—ძეს, ე. ი. 210,920 მანეთი. რევიზორის ანგარიშით ამ ფულში მხოლოდ 17,900 მანეთია შავი-ქვით უზრუნველი ყოფილი, დანარჩენი თანხა კი, ე. ი. 193,021 მანეთი ყოველს უზრუნველობის გარეშეთაა და ამიტომ უნდა ჩაითვალოს ნამდვილ ზარალათ. ამ რიგათ ქვეყნ ინტელიგენტს თ. პ. წ—ძეს მიუღია ჩვენის ბანკისთვის 200 ათას მანეთამდე ზარალი; თ. წ—ძის შემდეგ, საკმაო დიდი სესხი მიუღია სახელგანთქმულ «სოიუზს», რომლის წარმომადგენელთან იმ დროს იყო ბ-ნი ზ—ი, (ბანკის საბჭოს ყველაზედ უფრო გავლენიანი წევრი და ეგზორეს თავმჯდომარე). ამ ფირმას მიუღია 97,541 მანეთი, ამ ფულში ზარალათ სთვლის ბ-ნი რევიზორი 39,112 მანეთს. ამას მოსდევს ბ-ნი კ. ბ—ძე, ამავე ბანკის ყოფილი კასირი. მან დაანება თავი სამსახურს, მოიპოვა ჰიპაურში ბაღანი და გაიტანა ბანკიდან 49,873 მანეთი; ამ ფულიდან ჩაუწერიათ ზარალში 22,143 მანეთი. ბ-ნ ი. გ. ან—ს გაუტანია 42,677 მანეთი; აქედან ზარალშია ჩაწერილი—20,511 მან., ბ-ნ ი. ლ—ძეს გაუტანია ცოლის სახელზედ— 31,200 მანეთი; აქედან ზარალია 20,145 მ. ბ-ნ დ. ნ. ბ—ძეს გაუტანია—17,672 მანეთი; აქედან ზარალია—4,516 მ. სულ ამ შავი-ქვის სესხით, რევიზორის ანგარიშით, ბანკს მოსდის ზარალი 299,448 მანეთისა, ანუ თითქმის 300 ათას მანეთამდე. (იხ. გვ. 25—26).

ამ ხელ-და-ხელ მოკეთანილ ციფრებიდან აშკარად სჩანს, რომ ბანკს გაუცია შავ-ქვაზედ თითქმის ნახევარ მილიონი მანეთი და აქედან უნახავს ზარალი 300 ათას მანეთამდე. იდვილი წარმოსადგენია, რომ ეს ღიდათ შესამჩნევი ზარალი საშინლად იმოქმედებდა ჩვენის პატარა ბანკის ნორმალურ მსვლელობაზედ და შესცვლიდა დასაღუპავად მის კეთილ-ღღეობას. აი ამ ღიდმა ზარალმა დაუკარგა ნდობა ბანკს და გამოიწვია «ფულის დამბინავებელთა» მიერ ფულის უკანვე წაღება, მით ბანკის ოპერაციების შესუსტება, ვექსილების პროტესტები, საჩივრები და საქმეთა დაფუშვა. ამას მოჰყვა მთავრობის რევიზიები და ის უკიდურესობა, რომელშიაც ჩავარდნენ ბანკი და მისნი წევრნი.

ნეტა ვინ შეიყვანა ჩვენი ბანკი შეცდომაში? ვინ გააქელვინა წესდება და გააკეთინა ამოდენა თანხა შავ-ქვაზედ? ვინ გაუღვიძა სპეკულიაციის მადა? ან სად ჰქონდა ბანკს ამოდენა თავისუფალი თანხა მარგანეცზედ გასაცემათ? აი ის ძირითადი საგნები, რომელთა ახსნა და გარკვევა მეტად საგულისხმოა. ეს ახსნა ნათელს მოპფენს ჩვენს ზოგიერთ მოღვაწეთა ფარული მოქმედებას და დაგვანახვებს ბევრს საოცარს ამბავს, მაგრამ, საწყუხაროდ, აქ ვერ შეუღგებით ამის განხილვას, რადგან შორს წაგვიყვანს. ამ საგანს ვუძღვნით ცალკე წერილს; აქ კი დავუბრუნდეთ ისევ რევიზორის ანგარიშს.

შემდეგ განაგრძობს რევიზორი: ამ ზარალის მიზეზათ, სხვათა შორის, უნდა ჩითვალოს შავი ქვის კრიზისი, რომელიც დაიწყო 1900 წლიდან და დასცა ფასებიო. მაგრამ ამით ბანკის საბჭო-გამგეობა ვერ გამიმართლებენ თავს და ვერ განთავისუფლდებიან საყვედურისაგან, რადგან შავი ქვის ოპერაციებში დაობანდეს შედარებით უზარმაზარი თანხები და მით ცნობიერად გაჰხადეს საეჭვოდ, როგორც ბანკის ბედ-იღბალი, ისე ფულის დამბინავებელთა თანხებისა. გარდა ამისა, (ეუდათ იმოქმედა საქმეზედ წესდების წინააღმდეგ მოწყობილმა შავი ქვის ოპერაციებმა. წესდების 3. 2 § 17-ის ძალით, საქონელზედ უნდა გაეკეთ�eიყო მისი ღირებულების არა უმეტეს $^2/_3$-სა, მაშინ როდესაც თ—დ 3. წ—ძეს აძლევენ ფოთში ფუთზედ 19 კაპეიკსა, (გაყიდული ჰქონდა $23^1/_2$ კაპ.), ე. ი. 3—5 კაპეიკთ მეტს დაწესებულ ნორმაზედა. გარდა ამისა დადგენილი იყო მიეცათ თ. წ—ძესთვის ბაქნებზედ ფუთზე 5 კაპეიკამდეო სულ 6,000 მანეთის სესხიო, ნამდვილადაკი მისცეს ფუთზედ $7^1/_2$ კაპეიკი და გაუხსნეს რამდენისამე ასიათასის მანეთის კრედიტიო. შემდეგ, მიუხედავად შავი ქვის კრიზისისა და საბჭოს დადგენილებისა, შეწყვეტილ იქმნას სესხი შავ ქვაზედაო, ფული მაინც ეძიერნდათ და ამ რიგად 27 ოკტომბრიდან 1901 წლისა ამა წლის 22 ივლისამდე გაუციათ კიდეგ შავ-ქვაზედ თითქმის 372,000 მან. და ეს სესხი მიუციათ თითქმის სულ თ-დ 3. წ—ძისთვის და ამ რიგად ბანკი ხარჯავდა ფულს 3. წ—ძეზედ ქვის ჩამოსატანათ მადნებიდან, რკინის გზის ფრახტში ფოთამდე, ფოთის კანტორის ხარჯებათ, ვაგონში ჩასაკვირთად, ახალ ქვის საყიდლად ქვეელის გასაუჯობესებლად და ეგრედგე სხვა წვრილმან ხარჯების მოსახდენათ. რევიზიამ ვერ აღმოაჩინა, ჰქონდა თუ არა შესაფერი კანტროლი ადგილობრივ შავი ქვის ოპერაციას, ან რა რიგად ამოწმებდნენ აგენტ ყაუნრეევს მოხსენებას მაშინ, როდესაც სასტიკ ზედამხედველობას და კანტროლს ღიდი მნიშვნელობა აქვს ამ გვარ ცოცხალ საქმეში, როგორიც შავი ქვაა. (ამ საგანზე ბეერი რამა გვიჭვს სათქმელი) ბოლოს გამგეობის საალაბედო პოლიტიკამ, რომელმაც ასეთი ცუდი გავლენა იქონია სავექსილო პორტფელზედ, აქაც იჩინა თავი; 20 ოქტომბრიდან 1900 წ. ამ ბოლო რევიზიამდე რეალიზაციის ღონის ძიება მიღებულ იქმნა მხოლოდ ერთის მსესხებელის მიმართ, რომლის ქვა დარჩა ბანკს» (ეს მსესხებელი ბ-ნი ანდრონიკოვი). «ყოველივე ზემონათქვამიდან საკმაოდ სჩანს, რომ შავი ქვის ოპერაცია დაუყენებიათ ურიგოთ, ამ გვარად გაუქელიათ წესდება, დაუფარავთ მსესხებლები, არ შეუსრულებიათ ფინანსთა მინისტრის განკარგულება 1902 წლისა შავი ქვის ოპერაციის შეზღუდვის შესახებ და უყურადღებოთ დაუტოვებიათ საბჭოს დადგენილებანიო. ამის შედეგიც თვალ-წინა გვაქვს: ვალი და ზარალი 300 ათას მანეთზედ მეტია, რასაც ემატება კიდეგ ჯარიმა და სარგებელიო».

სიმონ ქვარიანი.

(დასასრული იქნება)

---

## ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲐᲮᲡᲔᲚᲝ.

(ᲣᲜᲐᲓ ᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ—ᲬᲧᲐᲚ-ᲬᲧᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ)

### ᲣᲚᲐᲗᲐᲣᲠᲛ

განა არა, მაშინვე ვგრძნობდი, როდესაც ჩვენი მივწუკებული „სახელდახელო“ განვაახლე, რომ აქეთ-იქიდგან მოსცენებას არ მოგაკემდნენ თუ ცალკე წერილებითა და თუ კითხვა-პასუხებით, მაგრამ ახლა რაღა გაგწყობა! ნათქვამია «ვავბრიყვდი და შეეჯაქ ვირსა, მიკვინტა და დამკა ძირსა»-ო! მეტი ჩარა არ არის, ახლა უნდა გავსწიო ულელი.

გუშინ ერთი წერილი მივიღე გუერიიდგან. გაჯავრებული ასკანელი გურული შემდეგსა მწერს:

— «ძამია ქუჩუკი! რაცხა ისე გადანარა გულზე შენ რომ «ყბად-ასაღები» ამბავი ისევ გაახლე, რომე მეტი არ შეიძლება. მარა აი ერთი კი არ მომწონს: რაც მართლა წყალ-წასაღები და ყბადასაღებია, ისას ყურადღებას არ აქცევ და ზოგიერთ-ზეზეკ ეინ-ეინ-ეინ-რაცხა ადოლფიე ფონგრიმეუტიაო და ყური გამოგვიქედეკი, ბატონო, ოგიც ქეა საყურამდეგბო— ძალიან ავი ყაზილარი ყოფილა,—მარა, კი ნუ გეწყინეგა, ჩემი ძამია და, აი შენი საქციელი, ერთ მეგრელის ამბავსა ჰგავს; თურმე უთხრეს: «მეგრელო, ყური სად გაქო». ისანეკ თურმე მარჯვენა ხელი კისრის კეფას შემოაყოლა და მარცხენა ყურზე დაიდვა ხელი. შე დალოცვილო, შენსას,—თუ გახსოვს ბარემ,—ძღვენი მამიტანია ახალკაენრეს ერჯენ, ბაწაი ნათესა

# საქართველო

**ᲭᲘᲗᲣᲠᲐ.** ᲭᲘᲗᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲒᲔᲑᲐ. 1 დეკემბერს, თანახმად შავი ქვის საბჭოს მოწვრილობისა, ადგილობრივ თეატრის დარბაზში შესდგა საზოგადო კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა საბჭოს ინჟენერი ბ-ნი პ. შატილოვი და, როგორც იყო, საბოლოოდ გადაწყდა საკითხი ბაზარში ქუჩის მოკირწყვლის და დაქნების წინ ქვა-ფენილის გაკეთების შესახებ. ყოველ ამის ხარჯს ორ წილს კისრულობს საბჭო, ხოლო მესამედს ბაზარი. ამასთანავე საბჭო კისრულობს აგრეთვე ყოველსაფე მუშაობას ტუხნიკურის მხრით, გარდა იმ ხარჯისა, რომელშიაც საბჭო უამხანაგებდა მოვაჭრეებს.

ამავე დღეს, ადგილობრივ ბოქაულის და სანიტართა კომისიის ზოგიერთა წევრის თანადასწრებით აღიძრა საკითხი სანიტარულ წეს წყობილების გასაუმჯობესებლად, ამისათვის ბოქაულმა გამოუცხადა დამსწრე საზოგადოებას 29 ნოემბრის სანიტართა კომისიის კრების გადაწყვეტილება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ექიმი ს. დ. ბ-ნი ჯიფარიძე. რადგანაც ხოლეარა თანდათან ძრიელდება და გვიანხლოვდება კიდეც და მასთან მოსალოდნელიცაა, გაზაფხულამდის თუ არა, გაზაფხულზედ მაინც იჩინოს თავი დაუპატიჟებელმა სტუმარმა, მით უმეტეს, რომ აქაური გარემოება ხელს უწყობს ხოლერის და სხვა გადამდებ სენის გავრცელებას, ამისათვის ბ-ნი ჯიფარიძე, თანახმად ქუთ. გუბერნატორის გადაწყვეტილებისა, ავალებს ბოქაულს და სანიტარებს-ადგენონ ზედ-მიწევნით თვალ-ყური 1) დუქნების და სარდაფების, სადაც სანოვაგე მზადდება. 2) გასუფთავდეს და მოიკირწყლოს დუქნების უკან ეზოები და აგრეთვე მოედნები, სადაც ვაჭრობა იმართება ხოლმე კვირაობით. 3) ფეხისალაგებს ორმოების მაგივად გაუკეთდეს ხის ყუთები, რომლებიც უნდა ისხურებოდეს კარბოლის სიმკვავით. 4) გაუქმდეს ბაზრის მახლობლად თავლები. 5) ამოიღოს ის ორმოები, რომლებიც დღემდის სიბინძურის ბუდეთ იყო ვადაქცეული; 6) აღიკრძალოს რომ ბაზარში აღარ დახტიკლობდნენ მაწანწალა ძაღლები და აგრეთვე ღორები; 7) დაევალოს სანიტრებ-ფერშლებს აღვენონ თვალ-ყური მატარებლით მოსულ მუშებს და გაატარონ დეზინფექციონი. 8) გაკეთდეს სამ ალაგას უფასო �აჩაიე. 9) სანამდის მოიკირწყლებოდეს ქუჩები და ეზოები, დაევალოს ბაზრის მოჯარადრეს ასუფთავოს ყოველ დღე. 10) დაქირავებულ იქმნას ალაგები ბარაკებისთვის და სასაფლაოდ. 11) ეთხოვოს შავი ქვის საბჭოს, რომ მოუმატონ სანიტართა შტატს. 12) ეთხოვოს შავი ქვის საბჭოს მოულოდნელ ხარჯებისთვის თანხის გადადება ხოლერასთან საბრძოლველად. 13) აღიკრძალოს უვარგისის სანოვაგის და ხილეულობის შემოტანა. 14) საერთოდ ᲭᲘᲗᲣᲠᲐᲨᲘ მცხოვრებლებმა იქონონ ექიმისაგან გამოწერილი წამლები სასუფრებლად. 15) გამოეცხადოს ყასაბებს დაკიდებულ საქონლის ხორცს შემოახვინონ ტილო, აგრეთვე გამოეცხადოს მეჯურეებს გადაკრან ცინკი ანუ კლიინკა იმ მაგიდებს, რომლებზედაც აწყობენ პურებს და 16) ბეჯითად ადგენონ სანიტარებმა თვალ-ყური ავადმყოფებს და დაუყოვნებლივ მოხსენდეს ადგილობრივ ექიმს. წინაადგილ შემთხვევაში, თანახმად ბ-ნ ქ. გუბერნატორის გადაწყვეტილებისა, ჯარიმად დადებ ᲓᲔ 100—300 მანეთამდე ანუ ერთი თვიდან სამ თვემდე საპყრობილე მესჯოს.

დამწერეთ საერთოდ ყველამ ხელი მოაწერა სანიტართა კომისიის ასეთს დადგენილებას.

გ. სანდა.

—

**ᲙᲐᲮᲔᲗᲘ.** თვით-განსამართლება. სამწუხაროთ, ქვემო მხრის სოფლების მაგალითი სხვებმაც გადაიღეს და თითქმის ყველა სოფელში შემოიღეს თვით-განსამართლება, მსჯავრის დადება და მისი სისრულეში მოყვანა. სცემენ ქურდებს, აბამენ. მერე მთელი სოფელი გაემართება მათ სახლებისაკენ და დაუწყებენ რბევას. დაუბოცავენ საქონელს, გამოიტანენ სანოვაგეს და მერე იყოფენ, ან თვითონ შეექცევიან. ეს ღონისძიებანი შემოიღეს ქურდობის მოსასპობად ᲯᲔ მართლაც, ამობენ, რომ აპის შემდეგ თითქოს ქურდობა სრულებით მოისპოვო. მართალია, ბევრ სოფელში დასაჯეს ქურდები, მაგრამ ს. კურდღელაურში ყველას გადაჯარბა და კაცც იმსხვერპლა. კვირას, 28 გიორგობისთვეს, მოახდინეს ყრილობა კვირა-ცხოველთან ქურდების განსამართლებოდ. დაუწყეს ქურდებს ცემა და დასჯა. ამ ცემის დროს მისული ერთი თათარი სულთანა, რომელიც მოპარულ ცხენზე იჯდა. წინად ამ სოფლის კაცისთვის მიეყიდნა—ეცნოთ, მაგრამ ეთქო, თათრისგან ვიყიდეო და ეს თათარიც ამ დღეს მისულიყო ამ ცხენით. ეს თათარი განთქმული ქურდი იყო და საქონლის დამმალავი, მერე-კი პატრონებს ჰყიდდა მთისავე საქონელს და კარგა ფულს იღებდა. დაინახეს ეს თათარი, ხალხი უფრო გაანჩხლდა და დაუწყო ცემა დიდის კომპლებითა და ქვით. იქამდის სცემეს, ვიდრე სულს დაჰხეოდდა. პოლიციას გიგეგო და ბოქაული ჩაფრებით ჩამოვიდა. მაგრამ ხალხი უკვე დაშოშმინდა და ახლა სოფელში გაემგზავრა. იმ დღეს და ორშაბათს სულ არ ბეედნენ ქურდებს და საქონელს უხოცავდნენ. ზოგს თვითონ მოჰქონდა ფული მიდიოდნენ და არბევნენ, ღვინოს და ჰუს იღებდნენ, საქონელს იყვანდნენ დასახოცად და უტიალებდნენ ოჯახს. მარტო ცხენი 120 სულზე მეტი დაეკლათ: ღორი, ხარი, კამეჩი, ქათამი, ინდოური, ჰური და ღვინო სხვა იყო. ამ დავლაში ყველანი იღებდნენ მონაწილეობას და ვინც უკან იწევდა, მაშინ ვაი მისი ბრალი. იმასაც სცემდნენ და არბევდნენ. სწორედ საკოდაობა ხდება. გაბრაზებული ხალხი თავის მეზობელ-ნათესავს აღარ ინდობს და მიწასთან ასწორებს. ასეთი საქციელი არ შეჰშვენის პატიოსან ქართველ ხალხს, მით უმეტეს რომ ერთის ავის კაცის გულისთვის მთელი ოჯახი ისჯება და ფყლდება, ის ოჯახი, რომელიც, ადვილად შესაძლებელია, არავითარ მონაწილეობას არ იღებდა ავ-კაცობაში და ქურდობაში. სასურველია სიტყვით და დარიგებით იმოქმედონ სოფლის ხალხზე, რათა ასეთი მკაცრი და უმოწყალო სასჯელი აღარ განმეორდეს, თორემ სასჯელი მოქმედობს—ქურდობა ისპობა და სხვებიც ადვილად იღებენ მაგალითს.

ეხლა მთელ კახეთში ეს გაჰხლომიათ ახალ ამბად, ყველა ამაზე ლაპარაკობს, ყველა ამაზე მსჯელობს და ახალ ამბათ მოუთხრობენ ერთმანეთს.

—

**კაცის დაჭრა.** 27 ნოემბერს ს. ახატელში მძიმედ დასჭრეს ჩაფრების უფროსი ურიადნაკი კონოხილოვი. ამობენ, დამე ყარაულები დაეთვალიერებინა, იქ არ დახვედროდნენ, იმ ღამესვე ენახა და ეცემა. ამ დროს ერთს მათგანს ხანჯლით მძიმედ დაეჭრა.

შადა-კიხეული.

—

**Ს. ᲮᲐᲨᲛᲘ.** (ივრის ხეობა). ჩვენს სოფელში მცხოვრებნი, აზნაურნი და გაზნაურებულნი, სახელმწიფო მიწების მოსარგებლენი, თავიანთის ხარისხის წყალობით, სასოფლო საკმლო გარდასახადისაგან განთავისუფლებულნი იყვნენ და მათ მაგიერი გარდასახადი მთლად ჩვენის სოფლის გლეხებს ჰქონდათ დაკისრებული. ისედაც გაჭირვებულს გლეხს, რომელსაც თავისი ხვედრი სახელმწიფოს ხარჯების გარდახდაც კი უჭირს, სხვის მაგიერი გარდასახადიც უშირებდა საქმეს. გარდა ამისა ეს «ბედისაგან რჩეულნი» აზნაურნი და გაზნაურებულნი არც სასოფლო ბეგარაზედ გამოდიოდნენ, არამც თუ შორს მანძილზე, არამედ თავის სოფელშიაც კი. ეს შეუსაბამო წესი წლეგანდლიდგან შოსპობილია ჩვენის სოფლის მამასახლისის ესტატე ლოლაძის მეცადინეობით. ამ წლის ნოემბრის ხუთს გარდაწყდა, რომ თუ აზნაურებსა გაზნაურებულებს სურთ სახელმწიფო მიწებით ისარგებლონ, უსათუოდ სხვა გლეხებთან ეოთად უნდა იხადონ ხვედრი სახელმწიფოო ხარჯიო. ამბობენ, აქაურ აზნაურთა «წინაპძღოლის» ბ ნ ბ—ძის მეთაურობით, ჩვენი აზნაურნი და გაზნაურებულნი ჰფიქრობენ, საქმე განასაჩივონონ! საოცარი მადისა ბრძანებულან ჩვენნი აზნაურნი, მაგრამ არა გვგონია რომ მართლსაჯულებამ მათი გაუძაღარი მადა დაკმაყოფილოს და მათი გარდასახადი გლეხებს დაკისროს.

გარდა ამისა, ერთი სასიამოვნო ამბავიც უნდა მოვიხსენიოთ. ყველას ეცოდინება ჩვენის სოფლის (და არამც თუ მარტო ჩვენის, არამედ მთელი ივრის ხეობისა) ღამის ქურდ-ბაცაცები როგორ მოუფლენდნენ ხოლმე სხვათა ქათამ-ინდოურ-ბატებს. ქურდი-კი ყოველთვის იმალებოდა. ჩვენისავე- მამასახლისის მეცადინეობით, პირველ ნოემბერს სასოფლო ყრილობამ დადგინა, რომ სოფელში იყოლიონ ღამის დარაჯები, სულ ოთხი კაცი, რომელთაც თვალყური უნდა ადევნონ, რომ არაფერი დაიკარგოს ღამე; თუ დაიკარგა რამე და ქურდი ვერ აღმოაჩინეს, თვითონვე უნდა ზღონ დანაკარგი. ეს დარაჯები მთელს ღამეს სოფელში დადიან და დარაჯობენ. ჯერხნობით ჩვენის სოფლის საქათმეების ინდოურ-ქათმები უკლებლივ ცხოვრობენ და ენახოთ, მერე რა იქნება...

ოგდ-ეურა.

# რუსეთი

**დეპუტაცია შინაგან საქმეთა მინისტრთან.** ამ დღეებში შინაგან საქმეთა მინისტრს თავ. სვიატოპოლკ-მირსკის წარუდგა პეტერბურგისა და მოსკოვის ნაფიც ვექილების წარმომადგენელთა დეპუტაცია, რომელსაც უნდა მიერთმია მინისტრისათვის ამას წინად ვექილთა კრებებზე შემუშავებული და მიღებული რეზოლიუციები. აუდიენციაზე მინისტრმა მზოლოდ კრების თავმჯდომარენი ბ-ნნი ტურჩანინოვი და ნევიადომსკი მიიღო. ბ. ტურჩანინოვმა მინისტრს რეზოლიუცია მიართვა, რომელსაც თავადმა საჭაროდ გარდაავლო თვალი და ისევე დროს მიუბრუნდა ნევიადომსკის: «თქვენც ოგივე გაქვთ?« ამ უკანასკნელისაგან დასტურის მიღების შემდეგ მინისტრმა განაცხადა: «მე არ შემიძლიან თქვენის რეკოლიუციის მიღება და ჩემი თანხმობის განაცხადება, რადგანაც მათი შინაარსი ეწინააღმდეგება არსებულ სახელმწიფო წესებს». (რუს. ვ.).

—

**დაბადების მალოროსიულ ენაზე თარგმნა.** ლონდონის «ბიბლიურ საზოგადოებასა», სხვათა შორის, მალოროსიულსა ენაზედაც უთარგმნია დაბადების წიგნი და ამ დღეებში ცალკე წიგნადაც გამოუცია. პრაგის უნივერსიტეტის პროფესორს დოქტორს პოლგაის, რომელის რედაქტორობითაც თარგმნილია ეს წიგნი, მიუმართავს პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიისათვის, რომ ნებადართულ იქმნას ამ წიგნის რუსეთში გავრცელება. აკადემიას ეს შუამდგომლობა უწმიდესის სინოდისათვის წარუდგენია, სადაც არ შეუწინარებიათ პოლგაის თხოვნა. (რუს. ვედ.).

—

**საგლეხო საქმეთა რეფორმა,** რომელის შესახებაც პროექტი ჰქოდა შემუშავებული აწ განსვენებულ მინისტრს ფონ-პლე

# ᲡᲘᲐ

ტფილისის ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებელ კომისიაში ჩარიცხული ექიმებისა, რომლებმაც უფასო სამკურნალო დახმარება უნდა გაუწიონ ღარიბ ავადმყოფთ

ავადმყოფმა უნდა მიმართონ საექიმო დახმარებისათვის რომელსაც ქვემოდ-აღნიშნულ ექიმთაგანს, მაგრამ სასურველია მიმართონ უფრო მახლობლად მყოფს.

**ალადაშვილი**, ალექსანდრე სტეფანეს ძე. იღებს ავადმყოფებს დილით 7 საათ.—9 საათ. საღამოთი 8 საათ.—9 საათ.

ადრესი: ეგზარხოსის მოედანი, სინოდალურ კანტორაში.

**გედალინი**, ალექსანდრე გიორგის ძე, 10 საათ.—11½ საათ. (ცენტრალურ სამკურნალოში), საღამოთი 5 საათ. —7 საათ. სახლში, ბარონის ქუჩა, ავეჯეულის რიგი. სახლი თამამშვილისა № 16.

**ვეცელი**, ოტტო გიორგის ძე. დილით 7 საათ.—9 საათ., საღამოთი 7 ს.—9 საათ.

მიხეილის ქუჩა, მიხეილის საავადმყოფოს შენობაში.

**ზანიბეგოვი**, ესტატე ნიკიტის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 7 ს.—9 ს.

სოლოლაკში, ამაღლების ქუჩა, სახლი № 17

**ელჩიევი**, მნაცაკან რომანოზის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 5 ს.—7 ს.

მიხეილის ქუჩა, სახლი № 111.

**ზაბლუდოვსკი**, იოსებ მათეს ძე. დილის 10 ს.—11½ ს. (კუკიის ქალაქის სამკურნალოს განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—8 ს., სახლში:

გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 40

**კასუბოვი**, ნიკოლოზ გერასიმეს ძე. დილით 10 ს.—11½ ს., (ქალაქის სამკურნალოს კუკიის განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—7 ს.

ალექსანდრეს ქუჩა № 36.

**მირზაევი**, მიხეილ ივანეს ძე. დილით 7 ს.—9 ს. საღამოთი 7 ს.— 9 ს.

კრასნოგორსკის შესახვევი № 8.

**საათსაზოვი**, ივანე თომას ძე. დილით 8 ს.—9 ს., საღამოთი 4 ს.—5 ს.

ალექსანდროვის ქუჩა № 6.

**თათევოსიანი**, ტიგრან მათეს ძე. დილით 9 ს.—1 ს. (ქალაქის სამკურნალოს ხარაგუნის განყოფილებაში), 86 ს.—საათ. საღამოთი სახლში.

კრწანისის ქუჩა, სახლი თაირიოვისა № 11

**ხატისოვი**, ნიკოლოზ დავითის ძე. დილით 7 ს.—8 ს. და საღამოთი 4 ს.—6 ს. აგრეთვე დილით 10 ს.—12 ს. სამკურნალოს ავლაბრის განყოფილებაში.

ბებუთოვის ქუჩა № 27.

**შაბ-აზიზოვი**, არტაშეს ივანეს ძე. დილით 10—12 ს., საღამოთი 7½—8½ ს. გონჩარნი ქუჩა, № 30 (ჩუდურეთში).

**ზენერგინინა**, ანნა ივანეს ასული. დილით 10—12. (ქალაქის სამკურნალოს დიდუბის განყოფილებაში), საღამოთი 5—6 ს. სახლში,—ბაქის ქუჩა, სახლი № 7.

---

### სახალხო ბიბლიოთეკები.

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა».

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ:

1) სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში. დღეა არის
დილის 10—2 საათ.
საღამ. 5—7 „
კვირა-უქმეს—დილ. 11—1 „
2) ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131. დღეა არის
დილით 10—2 საათ.
საღამ. 5—9 „
3) ოლკას ქუჩაზე, სახლი № 19
დღეა არის დილით 10—2 საათ.
საღამ. 5—8 „

---

### საავადმყოფოები:

**ქალაქის სახაზინო საავადმყოფო**,—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო**,—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა, ღარიბთათვის რჩევაცა და წამლებიც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა**,—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტინეანი.

**ᲥᲣᲙᲘᲡᲐ**—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

**ᲮᲐᲠᲐᲒᲣᲜᲘᲡᲐ**—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედგაროვისა. ექიმი თათევოსიანეი.

**თავლეფის სამკურნალო**,—კირილოვისა და ვლოკოკინოვსკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატი.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის**—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეკუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის** საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტომანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანი.

**ქალაქის უფასო ღამის თავშეხაფარი სახლები:**

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ძელიქანაშვილისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

### მიმოსვლა რკინის ეზის მაგარეულებისა ამ წლის 15 ოკტომბრიდან.

(ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია შეტრბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

**ბაქოს**: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 21 წ. (6 ს. 19. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბათუმს**: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.). 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

**ერევანსა და ყარსს**: 1) საფოსტო № 74/75 დამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**გორ-ჯოჯს**: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

**ბაქოდან**: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.) საქ. და სამგზ. № 17 საღამოს 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

**ბათუმიდან**: საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.): სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

**ერევან-ყარსიდან**: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); საქონლ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღეს 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**გორ-ჯოჯიდან**: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ**: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) დამის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.)

გ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) სამგზავრო № 51 დამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღეს 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

---


# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

## ᲐᲕᲢᲝᲠᲝᲗᲐ ᲡᲐᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ

ამ წლის ივნისის 7-ს ქ. ტფილისში დაარსდა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა «ᲮᲘᲜᲘ», რომელსაც საკანონ აქვს ჰბეჭდოს ქართული სახალხო და საუმჯობესო წიგნები ეკონომიურების ეგვეს დარგისა და სიტყვიერებისა.

ამხანაგობა დაიწყებს თავის მოქმედებას მომავალ 1905 წლის თებერვლიდან.

ამხანაგობის დამფუძნებლმა წევრებმა ამოარჩიეს დროებითი სარედაქციო კომისია, რომელსაც დაეკისრა მომზადოს შესაფერი მასალა გამოსაცემად.

ამ ხანაგობას ჯერ-ჯერობით აზრად აქვს გამოსცეს შემდეგები დარგის ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებანი: სიტყვიერ, სამეურნეო, ისტორიული და ბიოგრაფიულ-ეკონომიური.

ხელეკრული დროებითი რედაქცია სთხოვს ბატონ ავტორებს, მოაწოდონ თავიანთი თხზულებანი გასინჯვად და გამოსაცემად.

რედაქცია სთხოვს ავტორებს ნაწარმოებთან ერთად აღნიშნონ მის წერილში: რა პირობებით სურთ დაუთმონ ამხანაგობას თავიანთი თხზულებანი.

ნაწარმოების გაგზავნა შეიძლება შემდეგის აღრესით: ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილს (ქ. ტფილისი, ოხმანდოვის ქ. № 44.), ანუ ალექსანდრე გრიგოლის ძეს სოლოლაშვილს. (ქ. ტფილისი, გოდოგანის ბრალ. № 12).

სარედაქციო კომისიის წევრნი: ალ. სარაჯიშვილი, ხ. ლღოტი, ს. გორგაძე, ალ. სოდოდოშვილი.



## ᲛᲝᲛᲘᲗᲮᲝᲕᲔᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲒᲐᲜ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ

## „ᲝᲠᲓᲝᲑᲠᲘᲜᲘ“ მ. Გ. ᲚᲔᲑᲔᲓᲔᲕᲘᲡ

ეს წამალი სრულიად აკრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცსძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საადგილო საქონლის კეკასიის საკაპრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(0—5—16)

## ᲠᲝᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘ ᲞᲘᲐᲜᲘᲜᲝ



ფის-კარმონები, სკრაბეკები, ეოტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲛ ᲡᲘᲛᲦᲘᲡᲝᲗᲘ ᲐᲠᲐᲠᲓᲘᲡ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲒᲔᲡᲬᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲒᲔᲡᲬᲠᲘᲚᲔᲑᲐ.

ᲞᲠᲔᲘᲡᲙᲣᲠᲐᲜᲢᲘ ᲛᲘᲣᲛᲐᲓ ᲒᲘᲖᲐᲕᲜᲔᲑᲐ.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲘ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲐ ᲡᲘᲛᲦᲘᲡᲝᲗᲘ ᲡᲐᲣᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

Ბ. Მ. ᲛᲘᲠᲘᲛᲐᲜᲘᲐᲜᲘᲡᲐ.

ᲛᲣᲖᲘᲙᲐᲚᲘᲡ ᲓᲔᲞᲝ

Ь. М. МИРИМАНІАНЪ

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—5—21)

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

## ᲜᲐᲬᲔᲠᲘᲗᲘ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘᲡᲐ

ტ. 1. II+533 გვ.

ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფარცხალაველი. ფასი ერთი მ. უმთავრესი საწყობი «წ. კ. გამავ. საზოგადოებაში».

---

გამოვიდა და ისყიდება

## ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲒᲘ

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ ბეჭედებისა.

ᲤᲐᲡᲘ 15 ᲙᲐᲞ.

ვისაც სურს ყიდვა, მიმართონ ქართული დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—3)

---

## ᲗᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ

## ᲓᲘᲓᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ

დაიბეჭდა სუფთად და შშრიანად, ფოტოტიპიით ორმაგიან ბრისტოლის მთელს თაბახზედ. დართული აქვს აკაკის ლექსი:

«ᲡᲣᲚ ᲛᲜᲐᲗᲛ! ᲛᲐᲓᲚᲘ ᲨᲔᲜᲡ ᲒᲐᲛᲐᲩᲔᲜᲔ»!

## ᲤᲐᲡᲘ ᲐᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

ვინც ათ სურათს ერთათ იყიდის ნაღდზედ, თითო ორ აბაზად დაეთმობა და ვინც ოცზედ მეტს—თითო 35 კაპ. მისამართი ფოსტით: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ᲪᲝᲓᲜᲐ“, სოსიკო მერკვილაძეს. (10—6)

---

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲛᲐᲜᲬᲘᲚᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

## „ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘ“

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲗ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲬᲚᲝᲕᲐᲜᲘᲗᲝᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲪᲠᲓᲘᲚᲘ ᲧᲠᲐᲛᲐᲗᲐᲗᲘᲡ

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ᲔᲣᲠᲯᲔᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ერთად ორივე გამოცემა დირს წელიწადში 5 მან. ცალცალკე 3 მან., ნახევარის წლით ორივე გამოცემა 2 მან. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მანეთიც შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კ., მცირე-წლოვან ყრმათა 15 კაპ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩ., № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიანისი.

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲔᲪᲔᲑᲐ: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала «НАКАДУЛИ».

---

Открыта подписка на 1905 годъ, XII годъ изданія,

НА ЕЖЕНЕДѢЛЬНУЮ ГАЗЕТУ

## „КАВКАЗСКОЕ СЕЛЬСКОЕ ХОЗЯЙСТВО“

органъ Императорскаго Кавказскаго Общества Сельскаго Хозяйства,

Газета выходитъ по четвергамъ, безъ предварительной цензуры,

ПО СЛѢДУЮЩЕЙ ПРОГРАМѢ:

1. Руководящія статьи по техническимъ и экономическимъ вопросамъ сельскаго хозяйства Кавказа. 2. Популярныя статьи (оригинальныя и переводныя) по полеводству, молочному хозяйству, садоводству, виноградарству и виноделію, шелководству, лѣсоводству, техническимъ производствамъ и проч. 3. Хроника и корреспонденціи. 4. Отчеты хозяевъ о произведенныхъ ими въ своихъ хозяйствахъ опытахъ и наблюденіяхъ. 5. Обзоръ литературы, русской и иностранной, по вопросамъ, относящимся къ Кавказу. 6. Сельско-хозяйственныя статистическія и рыночныя свѣдѣнія о производствѣ и потребленіи сельскохоз. продуктовъ, о видахъ на урожай, о цѣнахъ на продукты; тарифы. 7. Правительственныя распоряженія. 8. Протоколы, доклады и отчеты Общества и его органовъ. 9. Критика и библіографія. 10. Вопросы и отвѣты. 11. Сельскохозяйственный календарь. 12. Домоводство. 13. Справочный указатель. 14. Смѣсь. 15. Метеорологическія наблюденія. 16. Объявленія.

ЗАДАЧА ГАЗЕТЫ заключается въ установленіи болѣе живой и тѣсной связи между обществомъ сельскаго хозяйства и хозяевами Кавказа, съ цѣлью, во первыхъ, совмѣстной разработки сельскохозяйственныхъ вопросовъ Кавказа и, во вторыхъ, распространенія среди населенія необходимыхъ сельскохозяйственныхъ знаній.

Въ отдѣлѣ „Вопросы и отвѣты“ газета, при содѣйствіи спеціатистовъ, будетъ своевременно давать хозяевамъ отвѣты на тѣ вопросы, съ которыми они будутъ обращаться въ редакцію или бюро Общества сельскаго хозяйства.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА съ доставкой и пересылкой: на годъ—4 руб., полгода—2 руб., ¼ года—1 руб. и 1 мѣсяцъ—40 к.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ въ Тифлисѣ, въ редак. „Кавк Сельск. Хоз.“, Барятинская улица, собственный домъ.

(3—3—2) Отвѣтственный редакторъ *А. А. Каманторъ.*

---

ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲘᲑᲔᲓᲔᲑᲐ ᲑᲐᲡᲐᲚᲘᲗᲘᲓᲐᲠ ᲧᲕᲔᲚᲐᲒᲐᲜ

## ᲡᲐᲧᲝᲤᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

 შედგენილი კ. თავართქილაძის-მიერ

კალენდარში მრავალი საკალენდრო ცნობათა განყოფილების გარდა, მოთავსებულია ვრცელი სამეცნიერი და სალიტერატურო განყოფილება. კალენდარი შეიცავს 256 გვერდს და ჰღირს 20 კაპ. პარტიით მყიდველს დაეთმობა 40%.

ᲘᲒᲘᲔᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲐ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ

## ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲙᲔᲓᲚᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

შევსებული მრავალ სასარგებლო ცნობებითა და წერილებით, მშვენივრად, ფერადის წამლებით დაბეჭდილს კარდონზედ (რუსეთში მომზადებული). ფასი 40 კაპ. პარტიობით მყიდველს დაეთმობა 40%.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ტფილისი, კ. თავართქილაძე. (8—8).

---

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲜᲘ

1) **ᲘᲐᲕᲜᲐᲜᲐᲛ ᲠᲐ ᲭᲥᲕᲜᲐ?** მოთხრობა ი. გოგებაშვილისა, მეოთხე გამოცემა, მეთორმეტე ათასი, ფასი ერთი შაური. ვინც ათობითი იყიდის, წიგნაკი დაეთმობა ოთხ კაპეიკად. ვინც ოცობითი—სამ კაპეიკად.

2) **ᲒᲣᲠᲯᲘ ᲔᲠᲘᲜᲬᲔᲑᲘᲡᲐ**, მისივე, მეორე, ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი. ვინც ათობითი იყიდის, დაეთმობა 16 კაპეიკად, ვინც ოცობითი—15 კაპეიკად.

3) **Къ вопросу о мингрельской школѣ**, მისივე, ფასი ერთი აბაზი. იგივე დათმობა.

4) **Правда о Тифлисѣ**, მისივე, მეორე, ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი. იგივე დათმობა.

5) **Какъ поднять Кавказкую народн. школу**, მისივე, ფასი ექვსი შაური. ვინც ათობითი იყიდის, წიგნი დაეთმობა 24 კაპეიკად, ვინც ოცობითი—22 კაპეიკად. (5—5).


Дозволено цензурою Тифлисъ, 8 декабря, 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи